<u>დისკუსია თემაზე:</u>

,,სპორტი (ფეხბურთი) მდგრადი განვითარებისა და უსაფრთხოების პრიზმაში"

2022 წლის 25 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დამოუკიდებლობის დარბაზში ,,უსმა/USMA"-ს ორგანიზებით გაიმართა დისკუსია თემაზე: ***,,სპორტი (ფეხბურთი) მდგრადი განვითარებისა და უსაფრთხოების პრიზმაში"***;

,,სპორტი (ფეხბურთი) მდგრადი განვითარებისა და უსაფრთხოების პრიზმაში"-დისკუსიაში მონაწილეებს შესავალი სიტყვით მიმართა ,,უსმა/USMA"-ს თავმჯდომარემ, ბესიკ ობოლაძემ [(იხილეთ მიმართვის ვიდეო ჩანაწერი)](#).

,,უსმა/USMA"-ს წევრები: დავით ჩიკვაიძე და თამარ აქხალკაციშვილი.

დისკუსიაში მონაწილეობდნენ: ,,უსმა/USMA"-ს პრეზიდიუმის წევრები: გოჩა ცოფურაშვილი და დავით ობოლაძე, მსოფლიოს ჟურნალისტთა ასოციაციის წევრი, სპორტული ჟურნალისტი, დავით ქლიბაძე, UEFA-ს მედია-ოფიცერი მამუკა კვარაცხელია, საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრი, კობა ნარჩემაშვილი, ვეტერანი ფეხბურთელი, მესხის სახ. სტადიონის დირექტორი ილია რუხაძე, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის პოლიტიკის ანალიტიკოსი, ნინო სამხარაძე,

სპორტის, კერძოდ ფეხბურთისა და უსაფრთხოების თვალნათელი მაგალითისათვის ღონისძიების ფარგლებში აღინიშნა 1914 *წელს, პირველი მსოფლიო ომისას* 25 *დეკემბერს* (*შობა დღეს*) *ფრონტის ხაზზე სანგრებიდან ამოსული მოწინააღმდეგეებს შორის სპონტანურად ჩატარებულ ფეხბურთის მატჩის ისტორია და მოეწყო პოლ მაკარტნის მიერ ამ ისტორიაზე გადაღებული კლიპის ჩვენება, სადაც იგი თვითონვე მონაწილეობს/ასრულებს გერმანელი, ბრიტანელი და ფრანგი ჯარისკაცის როლში.*

(იხილეთ კლიპი)

ამ ფაქტზე 2014 *წელს, ისტორიული მატჩის გამართვის ადგილას ძეგლიც გაიხსნა.*

*„უსმა/*USMA *“ -ს პროექტის* - **„სპორტი - მდგრადი განვითარებისა და უსაფრთხოებისათვის”** *(რომლის მიზანია სპორტის მართვის ევროპული სპეციფიკის არსის გააზრება (რა ინსტრუმენტებითა და რესურსებით ახდენს ევროკავშირი დაამკვიდროს ევროპული ღირებულებები სპორტის სფეროში, მისი მეშვეობით კი ზოგადად საზოგადოებაში) და სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობა სპორტის სფეროში წამყვანი საერთაშორისო პრაქტიკის განხორციელებაში) ფარგლებში* (იხ ი ლე თ პროექტი), *წარმატებით*

გრძელდება ასოციაციის ეგიდით 25 *დეკემბერს სპორტის თემატიკას მიძღვნილი მრავალფენოვანი ღონისძიებების გამართვის ყოველწლიური ტრადიცია.*

წელს იგი მეორედ გაიმართა.

თემასთან დაკავშირებით ფოტო ბესიკ ობოლაძის პირადი არქივიდან

თათბირი საქართველოს ნაკრების საერთაშორისო თამაშებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ

სურათზე: ნოდარ ახალკაცი, ბესიკ ობოლაძე, დემურ მიქაძე